



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-08/9554
24/06/2022

9554-2-08-2-202206241648



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ოთარ შამუგიას

ბატონო ოთარ,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) გეგმავს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყიბული - სოჩხეთი - ორპირის საავტომობილო გზის კმ10-კმ24 მონაკვეთზე არსებული ახალი სახიდე გადასასვლელების (პკ27+00; პკ48+80; პკ132+00; 139+00; პკ145+00) პროექტირება-მშენებლობის სამუშაოების განხორციელებას, რომლებიც მდებარეობენ იმერეთის რეგიონში, ტყიბულის მუნიციპალიტეტში.

საქართველოში გზების უმრავლესობა ეკონომიკური აქტიურობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სატრანსპორტო არტერიებს წარმოადგენს. საიმედო სატრანსპორტო ქსელი საჭიროა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, დროებითი და მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნის და ზოგადად ეკონომიკის განვითარებისთვის, რაც საბოლოო ჯამში აისახება მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის და მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე, ამ მიზანს ემსახურება ხსენებული პროექტების განხორციელება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ რეგიონის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხსენებული გზის, სოჩხეთი-ორპირის სრული მონაკვეთის გამართულ, უსაფრთხო და შეუფერხებელ ფუნქციონირებას, რომლის განუყოფელ ნაწილს მასზე არსებული ხიდები წარმოადგენს.

კვლევა-ძიების პროცესში, დეპარტამენტის დაკვეთით კომპანია შპს „საქგზამეცნიერება“-მ ჩაატარა აღნიშნული ხიდების გამოკვლევა-გამოცდა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ხიდები დაზიანებულია და მათი ტექნიკური მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს მათ საექსპლუატაციო მაჩვენებლებს, დღევანდელ დღეს არსებულ საქართველოში მოქმედ და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს როგორც ტვირთამწეობის და გამტარუნარიანობის, ისე გაბარიტის თვალსაზრისით. ასევე აღსანიშნავია, რომ არსებული გზის რეაბილიტაციამ, რომელიც ორი წლის წინ განხორციელდა, გაზარდა მძიმეწონიანი და მსხვილგაბარიტიანი სატრანსპორტო საშუალებების სატრანსპორტო ნაკადები და ხსენებულ ძველ ხიდებზე დატვირთვებმა უფრო მოიმატა. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ მიმდინარე წლის საგაზაფხულო პერიოდში არსებულმა უხვმა ნალექებმა დამატებით დააზიანა არსებული ხიდები, ხოლო მოსალოდნელი

ნაღებები კიდევ მეტად გააუარესებს მათ მდგომარეობას, რამაც შესაძლოა მათი მძიმედ დაზიანება და/ან დანგრევა გამოიწვიოს, რაც გახდება მოსახლეობის ყოველდღიური კეთილდღეობის ხელის შეშლისა და გადაადგილების მაღალი რისკების (შეფერხება/შეწყვეტა და ლეტალური შედეგი) წარმოქმნის მიზეზი. შესაბამისად დეპარტამენტის ტექნიკურ სამსახურებთან ერთად მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ მოხდეს მდინარე ჭალისთავზე პკ.48; მდინარე საგველიტბეზე პკ.27 სოფელ სოჩხეთთან და მდინარე ჭალაზე პკ.132, პკ.139, პკ.145 არსებული ხიდების ნაცვლად ახალი ხიდების უმოკლეს ვადებში მშენებლობა (დანართი N1 - იხ. პიკეტაჟების მიხედვით ხიდების X და Y კოორდინატები).

როგორც მოგეხსენებათ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა, რომელიც სკოპინგისა და გზშ-ს ეტაპებს მოიცავს საშუალოდ 5 (ხუთი) თვის ვადას საჭიროებს. ხოლო პროექტით გათვალისწინებული ხუთივე ხიდის მშენებლობა სახიდე გადასასვლელების არსებულ ღერძზე განხორციელდება და ამიტომ, პროექტის ფარგლებში გარემოზე ზემოქმედება მინიმალური იქნება.

ხსენებული როგორც სატრანსპორტო, ისე ამინდის პირობებით გამოწვეული მაღალი რისკებიდან გამომდინარე რეგიონი დგას იმ რეალობის წინაშე, რომ შეიძლება დროულად ვერ განხორციელდეს ხიდების გადაუდებელი სამშენებლო სამუშაოები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან და ფორსმაჟორული სიტუაციიდან გამოწვეული გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ხსენებული პროექტ(ებ)ის (იხ. დანართი N1 და N2 - Shp - ფაილები და კოორდინატები) დროული განხორციელებისთვის, გთხოვთ გვიშუამდგომლოთ საქართველოს მთავრობასთან და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-16 მუხლის შესაბამისად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გათავისუფლდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურისგან, რათა მიეცეს შესაძლებლობა, სამშენებლო სამუშაოების დაწყება უზრუნველყოს 2022 წლის ივლისის თვეში, ხოლო დასრულება 2022 წლის დეკემბერი თვეში.

დანართი: N1 - Excel -ის ფაილი - პიკეტაჟების მიხედვით ხიდების X და Y კოორდინატები (ელ. ვერსია);

N2 - პროექტის GIS კოორდინატები (shp ფაილები) – ელ. ვერსია.

პატივისცემით,

გიორგი წერეთელი

დეპარტამენტის თავმჯდომარე

